

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მეექვსე მოწვევის საკრებულოს  
გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომის

**ოქმი № 5**

ქალაქი რუსთავი

21 ნოემბერი 2019 წელი

სხდომას თავმჯდომარეობდა: გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე,  
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე

**ნინო ქავთარაძე**

სხდომას ესწრებოდნენ საბჭოს წევრები:

- |                 |   |  |
|-----------------|---|--|
| მალხაზ კომლაძე  | – | გენდერული თანასწორობის საბჭოს<br>თავმჯდომარის მოადგილე, საკრებულოს<br>ფრაქცია „ქართული ოცნება“- ს<br>თავმჯდომარე       |
| ამირან ჯანჯღავა | – | გენდერული თანასწორობის საბჭოს მდივანი,<br>საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო<br>საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე |
| დავით იშხნელი   | – | საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის<br>თავმჯდომარე   |
| გრიგოლ ვეფხვაძე | – | საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო საკითხთა<br>კომისიის თავმჯდომარე  |

ნინო ნიკოლავა	–	მერიის აპარატის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
ნინო ქვირია	–	მერიის ჯანდაცვის, სოციალური მომსახურების, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდული განვითარების სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
ეკატერინე ხუციშვილი	–	ა(ა)იპ „ქალაქ რუსთავის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანების“ დირექტორი
მამუკა მამაიაშვილი	–	მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე
ეკატერინე ჯორჯოშვილი-ნოდია	–	საკრებულოს აპარატის საოქმო განყოფილების მეორე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი
მადონა ლელაძე	–	საკრებულოს აპარატში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი
მაია ბასიაშვილი	–	მერიის აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის, ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების ხელმძღვანელი
იზა ცაგარელი	–	არასამთავრობო ორგანიზაცია „მტევანი“- ს ხელმძღვანელი

ლიანა ჩარკვიანი – „დემოკრატიული ჩართულობის ცენტრი“-ს  
ქსელის რუსთავის კოორდინატორი

ასევე ესწრებოდნენ:

მანანა ჩიტაიშვილი – „ქალთა ოთახი“ - ს წარმომადგენელი

ანა კანჯრაძე – „ინოვაციისა და რეფორმების ცენტრი“ -ს  
ხელმძღვანელი

მაკა პაქსაშვილი – საკრებულოს აპარატის იურიდიული და ადამიანური  
რესურსების მართვის განყოფილების მესამე  
კატეგორიის უფროსი სპეციალისტი

**დღის წესრიგი:**

1. გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების განხილვა.
2. გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის პროგრამის განხილვა.
3. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2020 ბიუჯეტის გენდერული ანალიზი.
4. სხვადასხვა.

**წინო ქავთარაძე** - მოგესალმებით, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მეექვსე მოწვევის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს **N5** სხდომას გახსნილად ვაცხადებ. თქვენს წინაშეა წარმოდგენილი დღის წესრიგი. ძალიან მიხარია, რომ გენდერული საბჭო გაფართოვდა და უკვე გაფართოვებული ფორმატით შევიკრიბეთ. დავუბრუნდეთ დღის წესრიგს, და პირველ საკითხთან დაკავშირებით განმარტების გაკეთებას ვთხოვ **წინო ნიკოლაძას**.

**ნინო ნიკოლავა** - მოგახსენებთ, რომ 2018 წელს ა(ა)იპ „კონსტიტუციის 42-ე მუხლის“ ადგილობრივი ინიციატივების ფონდის (CFLI) მხარდაჭერით პროექტის ფარგლებში ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიაში გაიმართა სამუშაო შეხვედრა-ტრენინგები, სადაც განხორციელდა საჯარო მოხელეთა ინფორმირება შევიწროვებისაგან დასაქმებულთა დაცვის საკითხებზე. საჯარო მოხელეებისათვის საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის ორგანიზებით გაიმართა ტრენინგი ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის თაობაზე. ასევე, ქალაქ ბორჯომში, საქსტატის მიერ, გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე უწყებათაშორისი კომისიის მხარდაჭერილი პროექტის „ევროკავშირი საქართველოსთვის“ ფინანსური დახმარებით გამართულ შეხვედრაში მონაწილეობა მიიღო ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიაში გენდერული თანასწორობის საკითხებზე პასუხისმგებელმა პირმა.

„ქალთა საინფორმაციო ცენტრი“ ს მხარდაჭერით შემუშავდა ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმა, რომელიც დამტკიცდა ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 20 თებერვლის N235 განკარგულებით. გეგმაში გაწერილია საბჭოს მიერ დაგეგმილი და შესასრულებელი ღონისძიებები. გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულება კი დაიწყო 2019 წლიდან. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს რეკომენდაციით, მერიის შინაგანაწესში განხორციელდა ცვლილება, რომლითაც განისაზღვრა გენდერის ნიშნით დისკრიმინაციის ფაქტების გამოვლენისა და თავიდან აცილების მექანიზმები. აღნიშნული ფაქტების გამორკვევა, შესწავლა და შესაბამისი რეაგირების ღონისძიებების გატარება დაევა ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს. საბჭოს ინიციატივით მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ ყველა აიპსა და შპს-ს დაევა უზრუნველყონ დეკრეტული შვებულებაში მყოფი პირების შვებულების ანაზღაურება. გენდერული თანასწორობის საბჭოს ინიციატივით, ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ცნობიერების ამაღლების მიზნით ქალთა უფლებებისა და გენდერული თანასწორობის საკითხებზე რუსთავის საჯარო სკოლების მოსწავლეებსა და სკოლის პედაგოგებისათვის მოეწყო ფილმის ჩვენებები, აღნიშნულ ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო ყველა საჯარო სკოლის წარმომადგენელმა, ფილმის ჩვენების შემდეგ გაიმართა დისკუსია ზემოაღნიშნულ თემაზე. საბჭოს ორგანიზებით რუსთავის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებისათვის გამოცხადდა ესეების კონკურსი სკოლის მოსწავლეებისათვის გენდერული თანასწორობის თემატიკასთან დაკავშირებით. პარარელურად სამხატვრო სკოლის მოსწავლეები ამზადებენ ნახატებს ესეების კონკურსში გამარჯვებული მოსწავლეებისათვის დაბეჭდილი ბროშურების გასაფორმებლად. გენდერული თანასწორობის საბჭომ მიმდინარე წლის 14 მაისს რუსთავის მუზეუმში გამართა შეხვედრა „წარმატებული ქალები წარმატებული ქალაქისათვის“. ღონისძიებაზე მოწვეული იყვნენ გენდერული საბჭოს წარმომადგენლები ქვემო ქართლის სხვადასხვა მუნიციპალიტეტებიდან, საქართველოს პარლამენტიდან და ქალაქ თბილისის საკრებულოდან. ღონისძიებას ასევე ესწრებოდნენ ქალაქ რუსთავში წარმატებული ბიზნესის ქალი წარმომადგენლები. დამწყებ მეწარმე ქალებს მიეცათ შესაძლებლობა წარმოედგინათ თავიანთი ნამუშევრები და მოეწყო მათი გამოფენა-გაყიდვა. ღონისძიების ორგანიზატორებმა სტუმრებს წარუდგინეს 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმა და მის ფარგლებში შესრულებული საქმიანობისა და მომავალში დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია, ამასთანავე, მოწვეულმა სტუმრებმა მოისმინეს ბიზნესის ქალი წარმომადგენლების ისტორიები და მათი საქმიანობის სფეროში მიღწეული წარმატებების შესახებ.

მიმდინარე წლის 4 და 5 ნოემბერს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიაში UNDP პროექტის ფარგლებში გაიმართა ტრენინგი „გენდერული ბიუჯეტირება“, რომელსაც ესწრებოდნენ მუნიციპალიტეტის საჯარო მოხელეები. ტრენინგი მიზნად ისახავდა ცნობიერების ამაღლებას. ტრენინგში მონაწილე პირებმა მიიღეს ინფორმაცია თუ რა არის გენდერული ბიუჯეტირება და რატომ უნდა მოხდეს მათ მიერ აღნიშნული ინსტრუმენტის გამოყენება.

მიმდინარე წლის 16 ნოემბერს გაიმართა „რუსთავის ქალ მეწარმეთა გამოფენა“ სადაც მოეწყო ქალაქ რუსთავში მოქმედი 6 მეწარმე-დიზაინერისა და 15 მეწარმის მიერ შექმნილი პროდუქციის გამოფენა გაყიდვა. აღნიშნული პროექტი 4000 ლარის ოდენობით დაფინანსდა „გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის“ პროგრამის ფარგლებში.

**წინა ქვეთარაძე** - დიდი მადლობა. ჩვენ გვექონდა შენიშვნა მიღებული, თითქოს სამოქმედო გეგმა აქტიურად არ იყო შესრულებული და სწორედ ამიტომ მინდოდა, რომ დღეს გაგვეკეთებინა გარკვეული ანგარიში და მოხსენება სამოქმედო გეგმის შესრულებასთან დაკავშირებით. გენდერული კუთხით სამოქმედო გეგმის განხორციელება ყველასთვის სიახლეა, და ვფიქრობ, რომ საკმაოდ ნაყოფიერად გამოგვდის მისი განხორციელება. ეხლა რაც შეეხება გენდერული თანასწორობის პროგრამის ხელშეწყობას. ამ პროგრამის დაფინანსება 2019 წლის ბიუჯეტში 30 000 ლარით განისაზღვრა. ეს თანხა ძირითადად იყო გათვლილი ქალი მეწარმეების ხელშეწყობაზე და ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებაზე. პროგრამის ფარგლებში უნდა შემოეტანათ განაცხადი სხვადასხვა ორგანიზაციებს და დაესაბუთებინათ, რომ ამ პროექტის ფარგლებში როცა მიიღებდნენ მონაწილეობას ეს იქნებოდა გათვლილი ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებაზე. ჯერ ჯერობით გვაქვს მხოლოდ 1 პროექტი განხორციელებული, მეწარმე ქალთა გამოფენა, რომელიც საკმაოდ საინტერესო გამოვიდა. მეორე პროგრამაზეც უკვე შემოსულია განაცხადი და ჯერჯერობით საბჭომ უნდა განიხილოს. ეს იქნება პროგრამა, რომელიც გულისხმობს ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებაზე ორიენტირებული ტრენინგების ჩატარებას. შეხვედრები ჩატარდება დედებთან, ქალებთან მათი მოტივაციის ამაღლების მიზნით. ეს პროგრამა გათვლილია 200 ბენეფიციარზე რუსთავში. ველოდებით კიდევ განაცხადებს სხვა ორგანიზაციებისგანაც რომლებიც გამოთქვავენ მუნიციპალიტეტთან მუშაობის სურვილს. რედასაც ვსაუბრობთ გენდერულ თანასწორობაზე, ძირითადად აქცენტი უნდა გაკეთდეს ეკონომიკურ გაძლიერებაზე. ჩვენი საერთაშორისო პარტნიორები ვინც ძირითადად დონორებად გვევლინებიან, თავიანთ პრიორიტეტებში ყოველთვის აღნიშნავენ, რომ ერთერთი პრიორიტეტი არის ქალთა ეკონომიკური გაძლიერება. ამიტომ ეს ჩვენი მხრივ თანადაფინანსება იქნება თუ სრული დაფინანსება უნდა იყოს ამ მიმართულებაზე მორგებული.

ჩვენი შემდეგი საკითხი არის, ბიუჯეტის გენდერული ანალიზი. მოგეხსენებათ, რომ ვიმყოფებით ბიუჯეტის განხილვის პროცესში. ერთ-ერთი რაც გათვალისწინებულია ბიუჯეტში ეს გახლავთ გენდერული თანასწორობის პროგრამა, რომელიც გათვლილია ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებაზე. საკრებულოს აპარატის იურისტის, **მაკა პაქსაშვილი** იმყოფებოდა ტრენინგზე, რომელიც ეხებოდა ბიუჯეტირებას გენდერული კუთხით. ვთხოვ მაკას გვესაუბროს ამ ტრენინგის შესახებ.

**მაკა პაქსაშვილი** - საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის ფინანსური შედეგების შეფასებისა და საკანონმდებლო პროცესის ხელშეწყობის განყოფილების ხელმძღვანელის - შორენა კახიძის მიერ, ქალაქ

რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიაში ორდღიანი ტრენინგი ჩატარდა „გენდერული პროგრამული ბიუჯეტირების“ თაობაზე, საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანების - პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის შესაბამისად სასურველია ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტით დამტკიცებულ პროგრამებში, სადაც განსაზღვრულია პროგრამის აღწერა, პროგრამის მიზნები და შედეგი, სასურველია თუ განისაზღვრება მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორები. აღნიშნულის გათვალისწინება მიზანშეწონილია ყველა მუნიციპალურ პროგრამაში, მაგრამ თუ ეს ამ ეტაპზე ვერ განხორციელდება, წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება შეფასების ინდიკატორების გათვალისწინება გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის პროგრამაში მანც.

**გრიგოლ ვეფხვაძე** - რაც შეეხება გენდერულ ბიუჯეტირებას, გენდერული ბიუჯეტირება, როგორც ცალკე მცნება რა არის დღემდე არავინ არ იცის. არავის არ აქვს ეს ჩამოყალიბებული. გენდერული ბიუჯეტირების ფარგლებში ჩვეულებრივად შეგვიძლია განვიხილოთ მშემენლობა ბაღებში, ხელფასების მომატება მასწავლებლებზე, აღმზრდელებზე. ასევე მრავალშვილიანი დედების ხელშეწყობის პროგრამების დაფინანსება, აუტიზმის პროგრამის დაფინანსება, თუნდაც ინფრასტრუქტურული პროექტები. გენდერული ინფრასტრუქტურა რა არის თუ არა ის რომ მოწესრიგდეს სკვერები, ბაღები, მოეწყოს საბავშვო მოედნები, აშენდეს ან რეაბიტილდეს სასპორტო სკოლები. კიდევ მრავალის ჩამოთვლა შეგვიძლია... ამ ყველაფერს თუ გადავხედავთ ნამდვილად გაგიჩნდებათ ის შეგრძნება, რომ გენდერული კუთხით ბიუჯეტში ძალიან კარგი პროექტები ფინანსდება.

**ნინო ქავთარაძე** - გეთანხმებით ბატონო გრიგოლ. მთავარია ნემისმიერი პროგრამა რასაც ვანხორციელებთ, გვამღევედეს ხელშესახებ შედეგს.

**ნინო ქავთარაძემ** მადლობა მოუხადა სამუშაო ჯგუფის წევრებს, მოწვეულ სტუმრებს მობრძანებისთვის და დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

**ნინო ქავთარაძე**

სხდომის თავმჯდომარე